ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5710026

ნომერი: AR1835341

თარიღი : 01.07.2021

გაცემის თარიღი : 02.12.2021

გაცნობის თარიღი : 02.12.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ისნის რაიონი , ნაკვ01/019;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ შარაშენიძე პ/ნ 37001013989
- სამტრედია ა.კალაძის ქ. N 44

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - ბენზინ ან დიზელ გასამართი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) 2021 წლის 25 აგვისტოს №1234 ბრძანების აღსრულების ფარგლებში, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რომელთა გამოკვლევის შედეგად გაცნობებთ შემდეგს:
საპროექტო მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.17.02.001.040) მდებარეობს სატრანსპორტო ზონა 2-ში (ტზ-2). იგი მთლიანად შემოსაზღვრულია რეგისტრირებული და დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთებით. ამასთან, მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის შესაბამისად, მთლიანად ვრცელდება სარეკრეაციო ზონა -2 (რზ-2), აგრეთვე გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით, მიმდებარე მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება გამწვანებული ტერიტორია (რზ-2). არსებული მდგომარეობით, საპროექტო მიწის ნაკვეთამდე არ მიდის საავტომობილო გზა და არ ესაზღვრება სატრანსპორტო ზონის ფუნქციის მქონე ტერიტორიები. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სათანადოდ არის/იქნება უზრუნველყოფილი მისასვლელი საავტომობილო გზით, მათ შორის, სერვიტუტის გამოყენებით.
გამომდინარე აღნიშნულიდან, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.